# ხელშეკრულება №

## აუდიტორულ მომსახურების შესყიდვის შესახებ

ქ. საჩხერე 24 აპრილი 2012 წ.

დამოუკიდებელმა აუდიტორმა **მალხაზ ბაძგარაძემ**, რომელიც მოქმედებს აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ 2012 წლის 5 მარტს გაცემული ზ№6/158 სერტიფიკატის საფუძველზე, (შემდგომ ტექსტში „შემსრულებელი“) ერთის მხრივ და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „საჩხერის კინომ“ წარმოდგენილი დირექტორის **მაკა ნებიერიძის** სახით დავდეთ ეს ხელშეკრულება შემდეგზე;

### 1 ხელშეკრულების საგანი

1.1. დამკვეთი ავალებს, შემსრულებელი კი კისრულობს შემდგომი სამუშაოს შესრულებას: დამკვეთის 2011 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება.

1.2 სამუშაო სრულდება ამ ხელშეკრულების მიხედვით მხარეებს შორის შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

1.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ჩაბარების ვადაა 1 მაისი 2012 წ.

### 2. სამუშაოს ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 აღნიშნული სამუშაოს შესრულებისათვის დამკვეთი ვალდებულია შემსრულებელს გადაუხადოს 150 (ასორმოცდაათი) ლარი.

2.1 გადახდა წარმოებს სრულად სამუშაოს შესრულებიდან (სამუშაოს შესრულების შესახებ დოკუმენტების დამკვეთისათვის გადაცემიდან) 15 სამუშაო დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორებით ამ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტებით.

2.3 სამუშაოს დასრულებისას შემსრულებელი დამკვეთს წარუდგენს აუდიტორულ დასკვნას და სასაქონლო ზენდადებს.

### 3. მხარეთა პასუხისმგებლობა

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არასათანადო დონეზე შესრულებისათვის შემსრულებელს ეკისრება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობა.

3.2 შემსრულებელი პასუხს აგებს თავის ვალდებულებებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე, აუდიტის ეთიკის დარღვევაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.3 შემსრულებელს არ აქვს უფლება დამკვეთის თანხმობის გარეშე გამოაქვეყნოს შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებული ინფორმაცია ან გადასცეს მესამე პირს, თუ იგი შეიცავს კომერციულ საიდუმლოებას.

3.4 დამკვეთი პასუხს აგებს სამუშაოს ღირებულების გადახდის დაგვიანებაზე და უხდის შემსრულებელს დაგვიანებული გადაუხდელი თანხის 0.01 პროცენტს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4 ხელშეკრულების მოქმედების ვადები და მხარეთა რეკვიზიტები:

4.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან ხელშეკრულების პირობების სრულად შესრულებამდე.

4.2 მხარეთა რეკვიზიტები:

| შემსრულებელი: | დამკვეთი: |
|---|---|
| მალხაზ ბაძგარაძე | შ.პ.ს. „საჩხერის კინო“ |
| საჩხერე სოფ. მახათაური | საჩხერე, თავისუფლების ქ. 9 |
| ს/კ № 38001006021 | ს/კ № 439392239 |
| ანგ № GE53BG0000000281644400 | ანგ № GE62BG0000000088606800 |
| სს „საქართველოს ბანკი“ | სს „საქართველოს ბანკი“ |
| ცენტრალური ფილიალი | ცენტრალური ფილიალი |
| ბანკის კოდი: BAGAGE22 | ბანკის კოდი: BAGAGE22 |
| ---------------- | ---------------- |
| მ. ბაძგარაძე | მ. ნებიერიძე |